სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცამეტი წლის სამ დეკემბერს მე, ნოტარიუს მაია ბიგვავას ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: თბილისი რუსთაველის გამზირი №26. **მომმართა შპს-მ „ჯი-დი დეველოპმენტი“ წარმოდგენილმა დირექტორის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ჯი-დი დეველოპმენტი“-ს შესახებ, ს/კ 204550333) გიორგი დარჩიაშვილის** (დაბადებული 25.07.1939წ. სიღნაღში, პირადი №01026017366, პირადობის მოწმობა №ბ 0612257 გაცემული თვილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს მე-5 განყოფილების მიერ 11.11.2004წ. მცხოვრები: თბილისი, ს. ჩიქოვანის ქ. კორპ. 37, ბ. 30) სახით. მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დამოწმდება სანოტარო წესით. მე დავადგინე **გიორგი დარჩიაშვილის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი, ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი დარჩიაშვილმა** მომმართა. ვადასტურებ, რომ **გიორგი დარჩიაშვილის** ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე **მისი** ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობა, რომელიც მან თვითონ წაიკითხა. **გიორგი დარჩიაშვილმა** მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. **გიორგი დარჩიაშვილმა** ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ცამეტი წლის სამ დეკემბერს **შპს „ჯი-დი დეველოპმენტი“ წარმოდგენილი დირექტორის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ჯი-დი დეველოპმენტი“-ს შესახებ, ს/კ 204550333) გიორგი დარჩიაშვილის** (დაბადებული 25.07.1939წ. სიღნაღში, პირადი №01026017366, პირადობის მოწმობა №ბ 0612257 გაცემული თვილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს მე-5 განყოფილების მიერ 11.11.2004წ. მცხოვრები: თბილისი, ს. ჩიქოვანის ქ. კორპ. 37, ბ. 30) სახით, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ანიჭებს **ირაკლი აბაშიძეს** (პირადი №01031003397) უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა ხვამლი, №8 (ნაკვეთის №1/8) (საკადასტრო კოდი №01.13.08.001.008) დემონტაჟისა და აღნიშნულ მისამართზე სამშენებლო ან/და სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმართვის მიზნით იყოს **შპს „ჯი-დი დეველოპმენტი“-ს** სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა მესამე პირთან, მათ შორის ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, საგადასახადო სამსახურებთან, თბილისის იუსტიციის სახლთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, იუსტიციის სამინისტროს საჯარო და სამეწარმეო რეესტრების ტერიტორიულ სამსახურებთან, თვითმმართველობის ორგანოებთან, ქ. თბილისის მერიასთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებთან, მათ შორის თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურთან“ და ზედამხედველობის სამსახურთან, სანოტარო ბიუროებთან, ასევე საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში. მიმართოს მათ საჭირო განცხადებებით, განაცხადებით თუ სხვა სახის მოთხოვნებით, მიიღოს მათგან შესაბამისი პასუხები. წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს **შპს „ჯი-დი დეველოპმენტი“-ს** სახელზე გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, მოახდინოს საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონების კანონით დადგენილი წესით რეგისტრაცია, შეიტანოს რეგისტრირებულ უფლებებში ცვლილებები, მიიღოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ზემოაღნიშნული დავალებების შესრულების ფარგლებში მინდობილი პირი უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი სახის იურიდიული მოქმედება, წინამდებარე მინდობილობაში მათ შესახებ პირდაპირი მითითების გარეშეც, თუ ასეთი რამ აუცილებელი იქნება მიმნდობის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. ბიგვავას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

სანოტარო აქტს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის: **ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ჯი-დი დეველოპმენტი“-ს შესახებ, ს/კ 204550333.**

მინდობილობა გაცემულია ხუთი თვის ვადით და ძალაშია 2014 წლის 03 მაისის ჩათვლით.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური 13,8 ლარი. მათ შორის 10 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო 1,8 ლარი–დღგ, თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა.

ხელმოწერა

ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
33765342648513

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131262883

რეგისტრაციის თარიღი

03.12.2013 წ

ნოტარიუსი: მაია ბიგვავა
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #26
ტელეფონი: 2999620, 2932317

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18